პეზიაჟის ანთასით ჩახელ ჩემს თვალში,
როგორც ზღვაში მზე,
წვეთში — სინათლე,
ხეებში — ქარი.
დაიჯერებ იმ დღის არსებობასაც,
როცა ნაცვლად სიყვარულის გაფორმებისა,
შეგრძების სიმძაფრეა უფრო მთავარი
და მორიგ წყალდიდობას შემაძლებინებს,
შენი ჩემი ტუჩებიდან წამოსული ორთქლის ნამ(ებ)ი.
წვეთმა ხომ წვეთი უნდა შეავსოს.
წამმა წამება დაამთავროს სიზმრის მდინარით.
მერე საკმარისს ხიბლს
სული ქრს ანდობს...
მერე არსებობა ემსგავსება
თერებას გაღმა,
მერე საკუთარი ფრთხებიც ისე მტკოვებენ,
რომ სიზმრად თითო შეხება
სინამდვილესთან გამითანაბრონ.

ჩემი პირადი ზღვა ხშირად ისე მცდის,
ისე ეხება შენს ნამდვილ ნაპირებს,
რომ სიცოცხლის ფერი აქვს ირგვლივ ყველა შიშს
და შენი მკლავები ალარ მიშვებებ...
ჩემში არსებული სიცარიელე
შენს ნაპირებთან რომ მოაგროვონ
და მინიშნელობა გამოაცალონ,
რა დამრჩება გულწრფელობაზე მეტი,
სადაც შესამდე ვერმოსული თოვლის დარდი მაქვს,
იმ თოვლის,
სიტყვებს შორის ყველაზე სასურველი ანტრაქტი —
კონცასავით ტალღად რომ ჩაიდნო,
ვერც ზედაპირზე გაიჩირა,
ვერც მწვერვალებამდე აზიდა და წყალმა წაიღო.
ჩემი პირადი ზღვა ხშირად არ მინდობს,
ასე მაჩვენებს არსებობას მორჩილებამდე გზებზე,
ერთგულებებით თანმდევს
და კიდევ, სრულიად შეუსაბამოდ,
ერთი სიყვარულით მეტი როგორ ვართ სხვებზე.

უფავი აპოლოგია

ის, რასაც ფიქრობ,
შესაძლებელია მხოლოდ ზაფხულამდე
სიცოცხლის სურვილმა იგულისხმოს.
ამაოდ გგონია, თითქოს არ გჭირდება
იმის ცოდნა, დღეს მარტოს სძინავს
თუ წარმოდგენების ომში მას,
ვისი არსებობაც საემარისზე ახლოს იყო,
ვისი ხმაცაა ხმოვენებში,
ჩუმი, მაგრამ ჩქარი ტაშივით,
დაბალ ტემპრზე რომ მაინც ხმაურობს...
და ოზისებივით დაშრალი, ურიალა თანხმოვნები...
მათ გაფრძელებას როგორ შეიძლება მუსიკა ენოდოს,
თანაც სულის ფორაგაქთან შეთანხმებული.
ამ კომპოზიტებიდან
სიტყვა მირთლაც რომ გამოდიოდეს,
მეტს როგორ არ გიამბობს,
მაგრამ სტენოგრამები ყელიდან
მხოლოდ სუნთქვის გაცვლასა და
გაშლილ ხელებზე უთანხმდებან,
რომ ლოგიკური მკერდზე მიყრდნობით
საღამოს სამყარო გადაარჩინონ.

და გიმე — ქარიც შემიყვარდა

განაჩენია ეს სამყარო.
ვინ თქვა, რომ მიდის,
ფრო ტრიალებს...
სიტყვაზე ნდობა შენ თუ გიჭირს,
შეხედე ხეებს. კიდევ კარგი,
ხეები დაგანან მინდობილი
სეზონებს და ამინდს... უარაკო
სუნთქვაც არ მინდა, მიმიკარი.
და გიმხელ — ქარიც შემიყვარდა,
ჩემი ამბები რომ წაულო
ქუჩას, იტყუება შენს სილუეტს
ხეების ჩრდილით. შენც ამიტომ
ხეებზე ნდობა განმიმარტე,
ვენაზე ტოტად დამიმართე,
სასხლის სითბოს რომ ვუდარაჯო.
მსხვერპლის გაღებაც შეგვიძლია,
მსხვერპლის გულისაც. ვიკამათოთ?
ვინმე რამე ხარჯი თუ გაიღო,
იცი? დრო მასაც რომ არ წანობს.

საკუთარ სულზე ბორიალით
მარწმუნებს, ისევ გამომაწროთოს.
წვიმის, საუკუნოდ გადავილებ,
ქრის, შენი გულისოთვის რომ გამაღოს...
ლირიკა:
— ჩვენი ამინდია...
— არაფერია საკამათო.

„სინათლეში ურჩხულები ვერ იბუდებენ,
მაგრამ უსაზღვრო წყვდიდადში მუდამ
თვლებს რაღაც გამოუკინობი“.
რიუნოსკე აკუტაგავა

მე შემიძლია სინათლეზე ვილაპარაკო.
როდესაც შუქნიშები ერთ ხაზზე,
ერთი დღიდი შესვენებისთვის მოთავსდებიან, მამცნობ,
როგორია შენი ძალის უმეტესი ნაწილი
ჩემს თვალში,
ან გადაშლილი სულის უდაბნო უკიდეგანოდ...

მაშინაც კი,
როდესაც არ ვხმაურობთ,
არ ვმოქმედებთ,
არაფერს ვამბობთ
და ერთმანეთის ონლაინზე ყოფნის
გადამონმება გვაკმაყოფილებს,
შენ შეგიძლია ქარი დაემსგავსო,
სატელეფონო ხაზზის გასწვრივ
ანგელოზს ფრთხები დაახრევინო და
მათსავე ხელისგულზე
გადაშლილი ღრუბლებით
შეადგინო ჩუმი წერილი.

შეცნობა იმის,
რომ შეუძლებელი შენთვის თითქმის არაფერია —
ნამდვილი ღიმილის შესწავლასაც გამიადვილებს.
მაშინ, როცა ყველა ჩემი გაროულებისას,
უმოქმედოდ დროს ვერ, დროში ვერევი,
ვგრძნო,
დალილ თვალში რომ შემოდის შენი ხმის მსგავსი
და სიტყვის ფორმის ღამის ფერება.

თითქოს ფერფლია ყველა სინათლე,
როგორ გირნმუნო?
და მეტყველი აღბათ,
როგორც ნაწილმარ ცაზე სპექტრის გადაჭიმვებით,
კვლავ ჩემი სევდის პირობითობის
მკვეთრი ჩვენება.

საგაზაფხულო რეზლეასიერი

დადგება წუთი ჩვენი წყალდიდობების,
როდესაც მკითხავ,
ოდესღაც ძალიან თუ მიყვარდა
და ეს იქნება კითხვა,
რომელიც რამდენიმე წლის ცდის შემდეგ —
გადამელახა ყველა ბასრი საზღვარი, —
ისევ მიმაბრუნებს საკუთარ თავთან.

ვტრიალებ თავში და ანამნეზში
კითხვას ეტმერა უფრო მეტი კითხვის ნიშანი.
— ეს იყო მცირედი თუ უკიდეგანო?
— არავითარი დობა და სტადიები, უძირო მორევი.
— ვინმესთვის იქნებ იყო უფრო სასჯელი?
— არავითარი შელაგათები.
— იქნებ იყო დაღლა?
— საკუთარი თავისგანაც ხშირად ვიღლებით...
— და გრძნობების გარშემო მოძრაობა?
— აუცილებლად განმარტებებით.

დასკვნა ანმყოში:
სიყვარულის მუდმივი მახსოვრობა —
ორმძრივი შეთანხმება — წარსულთან გამყოფი,
გათიშული შეგრძნებებით.
დიაგნოზი:
არც ყოველი უკან მოხედვის სევდაა
მომაკვდინებელი.
და მანც ისეთი დიაპაზონი,
გულგრილობებით, ჰიპერბოლობებით,
მზე რომ ყელში დაყოვნდეს და
თითოეული სიტყვით გახსენებაზე
მახმოვნებდეს სინათლით.
ვისთვის ესაა საკმარისი სიყვარულისთვის,
ვუტყვდები სიტყვებს
და მორიგ კითხვას,
ისეთ კითხვას მოველი შენგან,
პასუხს რომ ჩემში არ,
შენს რელიეფზე მომაძებინებს.
ყველა ახალ გზას შეგავედრებ,
საკუთარ თავს გამომარიდე...

ଭାବାବାବୁଙ୍ଗ

შესაძლოა, ბედი იმიტომაც არ გვწყალობს, ისეს ანდერძი აღუსრულებელი რომ დარჩაო, დაასკვნა გაგამ. ამ ფიქრებმა დიდხანს არ მოასვენა და გადაწყვიტა, საფლავი გაეჭრა და პაპამისი გადმოესვენებისა. წერაქვი და ნიჩაბი აიღო და კაკლიანის გზას დაადგა. ადრეც შეუნიშნავს, იმ ადგილს უცხო იღუმალება რომ დაპირობა, თითქოს მინა კაშკაშებსო. გამოფიტულ მინაზე გაფანტული სხივები ფერადად ელავდა. ბელტები მზის შუებზე მარილის კრისტალებივით ბზინავდა და მთელ შემოგარენს იღუმალება მსჯვალავდა. გაგა მუხის გაშვერილ ფესვზე ჩამოვდა, გორმახებში ხელი ამოურია და თითებით მოზიდლა, თითქოს ძვირფასი ნაყოფი უნდა ნარმოებინა. აქ მინა ოდნავ დამრეცი იყო, რადგან ფერდობი იწყებოდა. წერაქვი რომ დაუშინა, გორმახები ისე ადგილად მოპყვებოდა, რბილი ნიადაგი დიდ ძალისხმევას არ საჭიროებდა. სის ფესვები კომოდის უჯრებივით იყო დაყოფილი. გარკვეულ სილრმედე რომ ჩააღნია, უცებ ნიჩაბი რაღაც მაგარს მოხვდა. ჯერ ქვა ეგონა, მაგრაც მომცრო ზანდუკის სახელური აღმოჩნდა. გარშემო ცოტაოდენი გამოუხარა და სახურავი ახადა. ზანდუკი ვერცხლის მონეტებით იყო სავსე. ერთი მოხეტა ამოიღო და კბილით მოსინჯა. მერე ჯიბიდან ვაჭრის მოცემული მონეტა ამოაძვრინა და მოჭუტული თვალებით ორივე მონეტას მზეზე გახედა, გეგონებოდა, ასეთ რაძეში დიდად ერკვევაო. ერთი ერთზე ჰგავდა, მცირეოდენი განსხვავების გარეშე.

აი, თურმე რატომ სდომებია აქ დასაფლავება. იასონი ყოველთვის კაპიკებს მისტიროდა, მაგრამ საკმარისი იყო მამის გამგონე ყოფილიყო, წელში გაიმართებოდა. გაგამ ზანდუკს ტომარა ჩამოაცვა და ქმნინთ მოავლო მზერა არემარეს. ორგვლივ კაცის ჭახნება არ იყო. ორმო ისევ ამოავსო და ფერდობს დაუყვა. ტომარა ზურგზე მოიგდო, ნიჩაბი და წერაქვი კი მარცხენა ხელში ეკავა და ასე ახსნდლული განაგრძობდა გზას. ერთგან წერაქვი ხელიდან გაუგარდა, ქებზე რომ მოადინა ჭახანი, მაგრამ ასაღებად არც დახარილა. სახლს რომ მიადგა, ნიჩაბი კედელს მიაყუდა და შინ შევიდა. კარი გადარაზა, ზანდუკი გახსნა და ვერცხლის მონეტებში დიდხანს ურევდა ხელს. გული რომ იჯერა, ზანდუკს თავი ისევ დაახურა და სანოლქვეშ შეაცურა. მერე ომიდან დაბრუნებული პაპამისი წარმოიდგინა, როგორ დაფლავდა ზანდუკს და უკან გაბრუნებულს როგორ აედევნებოდა ის შეშლილი ყვირილით, ყუთი რა უყავიო. ეტყობა, ჩამოსვლისას შეინშნა. შარჩი გამხევესო, იფიქრებდა ისე, მაგრამ მასში შეშლილს რომ შეიცნობდა, ცოტა დამშვიდებოდა, ამას მაინც არავინ დაუკერებსო.

გაგა თუმცა აქედან ნასვლას აპირებდა,
მაგრამ არ ჩქარობდა. ქალაქში მყუდრო
კუთხეს მოვიწყობო, გეგმვდა, მაგრამ სუ-
რდა, ისე უმოქმედ, რომ მის გაუჩინარებ-
ის მიზეზს ვერავინ მიმხვდარიყო. მეორე
დღეს ცოტაოდენი მიწა მოჩირჩენა კიდეც
სახლის სიახლოეს, საეჭვოდ რომ არაფე-
რი მოსჩვენებოდათ და მნაცვლეს ეფიქრა,
გულს აყოლებსო. მონიშებით დაპოვებინებ-
და გორმახებს და დიდხანს ტკეპნიდა მათ
დასანახად. სადღაც იქით, ნაპრალებს მიღ-
მა მთვარე ბრწყინვავდა, თითქოს სივრცეს
ელდა ეცაო. გაგა რაღაც ისეთს განიცდი-
და, რაც აქამდე არასდროს უგრძნიდა და
სიხარულს მოეცვა, თუმცა ამის დამალვას
ცდილობდა. ძილშიაც ეს ზმრებოლდა ის
ადგილი, სადაც ზანდუქს მიაგნო. სიზმარ-
ში მინა ლივლივებდა და წვიმით გადლაბნი-
ლი ზედაპირი სარკესავით პრიალებდა. სი-
მდიდრეზე ისე ფიერობდა, გეგონება, ცეც-
ხლთან თბებაო. ნეტავ ჰპამისს როგორ
ჩაუკარდა ეს განი ხელში. ალბათ სხვებ-
იც იქნებოდნენ, მონილები, იქნებ გაყო-
ფისას რაღაც არასწორი მოხდა და შიძობ-
და, ერთხელ იქნება, მომაკითხავენო. ეს სი-
მდიდრე ომის ნადავლს ჰყავდა და არ უნდ-
ოდა, ოჯახის ნევრები მარში გაეხვია. გაგას
სმენოდა, კარის ყოველ დაკაუნებაზე კრ-
თებოდა და ეს შიში მზერიდანაც გამოსჭ-
ვიოდაო. ამიტომაც მიანიშნებდა შვილს
განის შესახებ.

მერეგაგას თანასოფლებიც შეუჩნდნენ, ოჯახი შექმენი, კერას ნუ გააციებო, მაგრამ ცხოვრების შეუმჩნევლად განლევა არ სურდა. გაიხსენა, ერთხელ შორეულ

დიმიტრი წიკლაური

ԱՏԵՍ ՅԵՐԱԿԵԼՈ



ბორცვებზე მდგარმა, ჩავლილი მატარებელი რომ დაინახა. იქით თუ მიღიოდა, საიდან აც დღროდადღრო ვაჭრები აკითხავდნენ. მე რე მამამისს ჰყითხა, რენიგზა ჩვენ მიწაზე რატომ გადისო. სადღაც ხომ უნდა გაევალო, უპასუხა მამამისმა, ასე ალბათ გზას იმოკლებსო და ერთმანეთთან ბევრ მნიშვნელოვან დასახლებას აკავშირებსო. როდე ემდე უნდა ეცქირა უფერული სივრცისთვის, არაფერ სანუგეშოს რომ არ სთავაზობდა. ქალაქში გადასვლა კი შესაძლოა სარკმლის გაღების ტოლფასი ყოფილიყო რაც მამა მიწას მიაბარა, აյ ალარაფერი აკავშირებდა. მატარებელს იმ უმნიშვნელო პლატფორმასთან დაელიოდებოდა, სვალას რომ ანელებდა. დილაუთენია გზას დაადგა, სადაც მისოფის ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ გაგას გული ისე ჰქონდა აცრუებული, არც კი გაუხედავს. მხოლოდ იმ ღარტაფის მიაპყრო მზერა, მამამისის სში ირად რომ ლაშერავდა. მოპეზებოდნებოდნება ამ ლერწმიანში კამკაცა ნაკადულებთან, მდინარეს რომ უერთდებოდა და მცენარის ფესვებით ციცქა ღორჯოებს ასაზრდოებდა. მიშრიალე ხეებს მიღმია ჯუჯა ბურქები დამცხრალ ვნებებს ჰგავდა დაფხავებულ კლდესთან ჩავლისას დაძახება და ექოს გაგონება სჩვეოდა, ახლა კი სმა არ გაულია. სურდა, უწუმრად ჩაეკრა მაგრამ ვიღაცებს მაინც გადაანცდა. ოორუ აშორობის ზარალაკებით აღჭურვილი ქალები მოჩხარუნობდნენ, თითქოს კუ

ミヒトガエベシウラ პლატფორმასთან მატა
რებელი ჯერ არ მოსულიყო. მგზავრები
წინასწარ ჩქარობდნენ, ადგილები ფანჯა
რასთან დაეკავებინათ. ზოგიერთებს საგზა
ლად ისეთი მძალე საჭმელი წამოედო, წყა
ალს გრაფინით აყოლებდნენ სულის მოსა
თქმელად. გაგა ძელსკამზე ჩამოჯდა და
მზერა მთებისკენ გაექცა, თითქოს ვეებდა
გოლიათს მასპინძლობს, ხისლს რომ და
ენთქა, სიმსუქნისგან კაში რომ ვედარ ეტ
ეოდა. მერე მყიფე ბურუსი მრავალ წვრილ
ნაწილად იქცა და განზე გაშვერილმა ტრ
ტებმა დაძნენა. მინდორში ქარმა ბალახები
შეატყო, გეგონება, მსუბუქმა ღიმილმა
გადაურბინაო და სიჩუმეც პალტის ბოლ
ოებივით მოირდვა. სოფელი მიყრუებულ
გუბერნიას ჰგავდა, შთამბეჭდავი დუმილ
ით ხმაურზე მეტს რომ გამოხატვდა, გე
გონება, გამოსათხოვებლად განგებ მოწყ
ობილი სცენა ყოფილიყოს.

და სახეზე პათეტიკური განწყობა აღეპეჭდა. მერე მატარებელმა მოაყვირა და მგზავრები აკრიფა. დიდ ქალაქს სანამ მიუახლოვდები, ბევრი მომცრო დასახლების გავლა გინევს, დრო კი რაც უფრო გაიწელება, მით უფრო გიმტკიცდება აზრი, რომ სწორ გზას ადგახარ. ადამიანი ერთ ადგილას დიდხანს ვერ ისუენებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტშიც ასეა, თავისუფლდება თუ არა სკამი, მგზავრი მყისვე ის გადაჯდომას ცდილობს, თითქოს დაწინუდაო. მთავარია, არამე შეცვალოს, ან ამის შთაბეჭდილება შექმნას.

მატარებელი ქალაქს შუადღისას მიადგა. გაგა ვაგზალს მორს არც იყო გაცილებული, მშენებლობა რომ შენიშვნა. ჩამნერი ვებული ხელოსნები ერთგან კედელს გამალებით ლესავდნენ, თითქოს ხოტბას ასხა მენო. გაგა მათ თავშესაფრის შესახებ გამოელაპარაკა. საქმეს როცა მოვრჩებით გამოგვყევიო, ურჩიეს, ხვალ კი რაძეუკეთესს იშოვით. გარეუბანია და იაფი დაგიჯდებაო. გაგა იქვე ჩამოჯდა და სამუშაო გასრულებას დაელოდა. ყოველ საქმიანობას თავისი პროცედურები და თანმიმდევრობა გააჩნდა, ასე ვთქვათ, მკაფრი განრიგი. გაგასაც რამე უნდა ეღონა, სანამ მთელ ვერცხლს ფულად აქცევდა. შემოსავალზე ზრუნვა არსებითად მიაჩნდა. ქალაქი ისეთია, ელიტა თუ არ მიგიკარებს, მდაბიოებდა დაგხვდებიან გულლიად. მშენებლობა ბევრი რგან მიმდინარეობდა და ალბათ ხელოსნებიც ბლობად სჭირდებოდათ. ირგვლივ უნაყოფო ქვიშები ზეინებად ეყარა, მთელ გორაკები წარმოქმნილიყო. მტკერიც ბევრი რგან ეფინა, ამაოების კვალი. ლუკმა-ჟურის საშოვნელად ყოველი მხრიდან იყვნენ მოსულნი, ამიტომაც სხვადასხვა ენაზღლაპარაკობდნენ. ამათ უნდა მიჰკედებოდა, თორემ დანესებულებებში, სადაც ყველას ადმინისტრატორის ან მენეჯერის თანამდებობა ეკავა, სამუშაოს ვერ გაჩარხავდა.

დღის ბოლო იყო და ხელოსნები უკუქუ
ცეული მეამბოხეებივით ბრუნდებოდნენ
გამურული სახეებით აჩრდილთა რაზმი
ჰგავდნენ. როგორ შეიძლებოდა, გაცას მათ
შორის თანამოაზროვერ ეპოვა და ფერად
ლამპიონებით გაბრჭყვიალებულ არემარ
ეს მარტო შერჩენოდა. მაშინ რისტვის დაა
ღწია თავი სოფლის ციცაბოებს და ფარლ
ალალა ქოხს, რომლის სარკმლები შედე
ნილი ციხის დამტკრეულ ანჯამებს აგონე
ბდა, ჩარჩოების ყანყალი ყვავების ყრანტა
ლთან ერთად მონოტრონურად რომ გაისმო
და დროდადრო და ეს სცენა ბრმა თვალე
ბით დანახულ მზედ აღიქმებოდა. აქ სხვა
ნაირი ხმაური იდგა. ცაც უცცებ იქუფრებო
და და წვიმა ასფალტზე ისეთ ტყაპა-ტყუპა
ტყებდა, სამჭედლო გეგონებიდა. ეს ასფა
ლტი რომ არ დაეგოთ, გამვლელები კო
რომებში ჩაცივდებოდნენ. თავშესაფარ
ყაზარმა უფრო ეთქმოდა, ვიდრე საცხოვა
რებელი ბინა. ქვისმთლელები დუმდნენ
თითქოს ოსტატობას მოთმინებაშიც ავლე
ნენო. მხოლოდ ვილაკ მუშა ჩიოდა, ინათე

მხოლოდ გაგა ფხიზლობდა. მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუსუჭავს, ტომარაში მოთავსებულ ზანდუქს წამდაუწუმ ამონქებდა და ადრიანად გასვლა გადაეწყვიტა. თუცა უმთვარო ღამეებში სიარულს წაჩვევი იყო, იქ ამ საქმეში ფრიად გაინაფა, მაგრამ ქალაქში ჯიბგირებს უფრთხოდა. ამიტომაც ელოდა გათენებას. როცა ირიჟრაჟა, გარეთ გამოვიდა. გაზაფხულის ქარს, აკაციის ფოთლებით ხელდამშვენებულს, ჭაღარა გასწენდა და ლომბარდისკენ მიმავალ დარბაისელ და წვრლი კაშნეთი შემცულ მოხუცს ჰგავდა, გაუფერულებული ოქროსფერი ასხმით ხელდამშვენებულს, უკანასკნელი სიმდიდრე რომ მიჰქონდა კაბიკებში ჩასაპარებლად, იქნებ როგორმე პურის საყიდლად ჰყოფნოდა. გაგამ უახლოეს გორაქს მიაშურა, მყუდრო ადგილი მოძებნა და განძი ერთ-ერთი ხის ძირას დაფლა. ეს ადგილი კარგად დაიმხსოვრა, თან მხოლოდ რამდენიმე მონეტა წამოილო და ფერდობზე დაეშვა. მდინარესთან აქა-იქ ბოთლის დაჭყულეტილი თავსახურავები ეყარა, მონეტებს რომ ჰგავდა და იმედგაცრუებულმა გაგამ ფეხი გაკვრა. მერე თავკომბალებიან ტბორის ჩაუარა, სადაც ტორფჟი ამოგანგლული ტურფები მოსვრილ ტერფებს მტირალა ტირიფთა ფერხთით იბანდნენ, პირვანდელი სიქათქათე რომ დაებრუნებინათ. როცა იმშრალებდნენ, ტირიფის ფეხსა და სარწყავი მილის გამონაშვერს ებლაუჭებოდნენ. ეს ტბორი მდინარიდან გამოყვანილი პატარა არხით იქმნებოდა. ადრე ზედ ხიდი ყოფილა გადებული — როცა აეგოთ, ახალი ხიდი ეწოდებინათ. ასი წლის მერეც ახალ ხიდს ეძახდნენ, მაგრამ ერთ დღესაც ჩაინგრა და ინგინრის შევილი ჩაიყოლა, იქვე ნაპირზე რომ ცხოვრობდა. ინჟინერმა დიდხანს იგლოვა, მერე რეკინის ხიდის აგება გადაწყვიტა მის სახელზე. კონსტრუქციის სქემა და ლანდშაფტის ფოტოები ნორვეგიაში გააგზავნა, სადაც ადრე დიდხანს ემუშავა. თანხა როგორც კი ჩაირიცხებოდა, გამოგზავნას შეპპირდნენ. მაგრამ ფულის შეგროვება, არც თუ ისე დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. ამასობაში მოსახლეებს შერიდან უნევდა მოვლა და ფრიად წვალობდნენ. არადა მაღლე ქალაქის ყველაზე დიდ დასახლებად იქცეოდა. მოზრდილ ნავებს ახალი მობინადრეები მოჰყავდა. ადგილობრივები ეკითხებოდნენ, საიდან მოხვედითო, რადგან არსაიდან მოსულებს ჰგავდნენ. ისინი მხოლოდ ხელს იშვერდნენ და სოფლის სახელს ისე წარმოთქვამდა, თითქოს მინისძვრის აღმნიშვნელი ყოფილიყოს. ახალი უბანი კი ფართოვდებოდა. ნახანდრალისგან შეეტრუსული მინდვრები სა- 1

მოახალშენები დარიქები კი იყვნენ, მაგრამ მაინც ძალუმ ებლაუჭებოდნენ სიცოცხლეს, ერთადერთ ქონებას, რომელიც გააჩნდათ. კაცები ხელოსნობდნენ, ქალები კი ქუჩაში ფარდაგებს ფენდნენ და ზედ უბრალო ნივთებს აწყობდნენ გასაყიდად, იმ ფულით ნავთირომ ეყიდათ. იაფად გაყიდულს დაკარგულად თვლიდნენ, ნივთის დაკარგვით კი მოთმინებასაც კარგავდნენ. მდინარესთან ორი სახლი იდგა. ერთი იმ ინჟინერს ეკუთვნოდა, მეორე კი ქვრივ ქალს, რომელიც საკუჭნაოს აქირავებდა. ინჟინრისა და იმ ხიდის შესახებაც იმ ქვრივმა

ვირჯინია ვულფი

ଶୁଣି ମହାତ୍ମା ପାତ୍ର ଗାଁତିକାନ୍ଦେଶ୍ୱର ସାହେବ

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შეგვიძლო
ია, ყუთიდან მარტივად ამოვაცურით სუ-
რათი, რომელიც წიგნის ჭიის წარდგენას
ემსახურება და მის გამოცდლებას დასცი-
ნის. ჩვენ ფერმკრთალ ფიგურას დავინახა-
ვთ, გამოფიტულს, საშინაო ხალათში გა-
მოწყობილს, ფიქრში ჩაკარგულს, რომელ-
საც არც ჩაიდნის გადადგმა შეუძლია ქუ-
რიდან და არც ქალთან საუბარი განით-
ლების გარეშე; რომელმაც არაფერი უწყის
ყოველდღიური სიახლეების შესახებ, მიუ-
ხედავად იმისა, რომ ზედმინებინთ კარგად
იცნობს ბუკინისტების კატალოგებს, რო-
მელთა ბერე ჯურლმულებში დღის ყველა-
ზე ნათელ საათებს ატარებს — უდავოდ
სასიამოვნო პერსონაჟია, თავისი ფუხუკია-
ნი სიმარტივით, მაგრამ ოდნავადაც არ ჰე-
ავს მათ, ვისზეც ყურადღებას გამახვილებ-
ას ვაპირებთ. ჭეშმარიტი მკითხველი არსე-
ბითად ასალებაზრდა. მძაფრი ცნობისმო-
ყვარეობით გამორჩეული, აზროვნების კა-
ცია; გონგბაგახსნილი და გულდია; მისთ-
ვის კითხვა უმთავრესად, გამაცოცხლებე-
ლი საქმიანობას სუფთა ჰაერზე და არა ჩა-
კეტილში კვლევა. იგი გაჭირვებით მიუყვე-
ბა აღმართს, მაღლა და მაღლა ადის გორა-
კზე, ვიდრე თავის სუფლად სუნთქვისთვის
საჭირო აგმოსფეროს არ მიაღწევს. მისთ-
ვის ეს ყოველივე ნამდვილად არ არის უმ-
ოძრაობაში სწრაფვა.

თუკმცა, გარდა საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებებისა, ფაქტების სიმრავლე მარტივად ამტკიცებს აზრს, რომ არსებობს კითხვისთვის ჩინებული სეზონი და ეს თვრამეტიდან ოცდაოთხ წლამდე ასაკის პერიოდია. შემდგომში წაკითხულ წიგნთა უმნიშვნელო სია, სასოწარკვეთილებით ავსებს მოზრდილ ადამიანთა გულებს. ეს ხდება არამხოლოდ იმიტომ, რომ ძალზე ბევრს ვკითხულობთ, არამედ იმ წიგნების გამო, რომელთა წაკითხაც გვიჩვეს. თუ მოგონებების გაცოცხლება გვსურს, მოდის, ჩვენს ერთ-ერთ ძველ დღიურს მიუვარუნდეთ, რომელიც იდესლაც, დროის ამა თუ იმ პერიოდში, ყველას გვქონია და დასაწყისის მძაფრ ჩანაწერებს დავუკვირდეთ. რა თქმა უნდა, გვერდების უმრავლესობა ცარიელია. თუმცა, დასაწყისში აუცილებლად აღმოგაჩენთ რამდენიმე მშვენიერ გვერდს, რომელიც შთამბეჭდავად მაციონ ხელნაწერით გამოიჩევა. აქ დიდებული ავტორების სახელები მათი ლვანლის მიხედვით გავაქვს ჩამონერილი; აქ კლასიკური თხზულებებიდან შესანიშნავი პასაუქები გადმოგვიწერია — აქ იმ წიგნთა სია, რომელიც არა მარტივი გამოიჩევა.

ლთა ხაკითხვებასაც ვაპირებთ და რაც ყველაზე საინტერესოა, აქ იმ წიგნთა სიაცაა, რომლებიც უკვე დაგასრულეთ და ამას მკითხველი თავისი ახალგაზრდული თვითკმაყოფილებითა და წითელი მელნის ფხაჭინით ადასტურებს. ჩვენ იმ წიგნების სახელწოდებებსაც ვციტირებთ, რომლებიც მავანმა გასულ იანვარს ოცი წლის ასაქში წაიკითხა და შესაძლოა პირველადაც: 1. როდა ფლემინგი; 2. შაგბატის პარსვა; 3. ტომ ჯო-



გვჯერა, რომ ვიდრე აღიარებულ გიგანტებთან შეხებას არ ისავლის, ყმანვილს ვერავითარი საერთო ვერ ექნება უფრო პატარა მწერლებთან, მოუხედავად იმისა, ისნი იმ სამყაროს აღწერენ, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამიტომ, უმჯობესი იქნება, კვლავ კლასიკას მიუბრუნდეს და სრული გონებით შეერწყას ლიტერატურის ამ უძირველეს რიგს. და ამ დროის განმავლობაში, ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობისგან განკურძოებით მდგარი და შორიდან დამკვირვებელი, წარმოუდგენელი სერიოზულობით შეძლებს მათ განსჯას.

რავს კლასიკას მანამ, ვიდრე ერთ დღეს, რაღაც აუცილებლობა მისი კითხვისაკენ კვლავ არ გვიძიძებს. ყველაფრის მიუხედავად, ცოცხალი ხმების ყველაზე უკეთ გვესმის. მათ ისე ვეკცევით, როგორც ჩვენს თანასწორთ. ისინი ჩვენს შარადებს ხვდებიან და, რაც შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვნინა, ჩვენ მათ ხუმრობებს ვიგძით. და ამგვარად, ძალზე სწრაფად გვივითარდება გემოვნება, რომელსაც დიდებული მწერლები ვერ გვიკმაყოფილებნ — არა ფასეული გემოვნება, არამედ უბრალოდ სასიამოვნო შეცყრდბილიბა — ცუდი წიგ-


მართლაც, ახალგაზრდობის დასრულების ერთ-ერთი ნიშანი სხვა ადამიანებთან დამეგობრების სურვილის გაჩინაა. ამ დროს ვფიქრობთ, რომ იმაზე მაღალ სტანდარტს შევინარჩუნებთ, ვიდრე ოდესებ გვეკონია. მაგრამ დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ უფრო მეტად ვინტერესდებით თანამედროვე მწერალთა თხზულებებით და შთაგონების ნაკლებობას, რაც მათ ახასიათებთ, იმ სიახლოების გამო ვაპატიებთ, რომელსაც მათთან მიყვავართ. მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით დაბლა დგანან, ჯერ კიდევ საკამათოა, უფრო მეტს ვიღებთ თუ არა ცოცხლებისგან, ვიდრე გარდაცვლილთაგან. უპირველესად, არაფერია თანამედროვეთა კითხაში ფარული და უსარგებლო. აღტაცება, რომელსაც ისინი ჩვენში ინკვეტენ, მეტისმეტად გულთბილი და უტყუარია და იმისთვის, რომ თანამედროვეების ვირწმუნოთ, ხშირად მსხვერპლად უნდა გავიღოთ ის ღირებული, წინასწარ შექმნილ წარმოდგენები, რომლებსაც ვენდობით. საკუთარი მიზეზები უნდა ვაძოვოთ — რა მოგვწონს მათში და რა — არა, რაც დეზივით შემოჰკრავს ჩვენს ყურადღებას და საუკეთესო საშუალება იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ კლასიკოსები გონივრულად წაგვიკითხავს.

და ორცა ცნობისწადილის ეს ვერბა სრულიად შთანთქავს, თხელი მტვერი დაფარილი შეარჩევენ ერთ ან ორ მათგანს, რომელთა მეშვეობითაც მუდამ ვემახსოვრე-

ბით. და თუ ამონცონბას შევძლებთ, ახლაც აღმოვაჩინთ ისეთ რომანს, ლექსსა თუ ისტორიას, რომელიც აღდგება და ჩვენი ეპოქიდან მომდევნო ეპოქებისთვის ისაუბრებს, ჩვენ კი მინაზე გავერთხებით და დავდუმდებით, როგორც შექსპირული ეპოქის უტყვი ბრძო, რომელიც მხოლოდ პოეზიის გვერდებიდან მეტყველებს.

გვკერა, რომ ეს სიმართლეა. და მაინც, ახალი წიგნების შემთხვევაში, უწვეულოდ როულია, მივხვდეთ, რომელი მათგანია ნა- მდვილი და რისი თქმა სურს ჩვენთვის, ან რომელი მათგანია იმდენად გამოყიტული, რომ ერთი ან ორი წლის შემდეგ ნანილებ- ად დაიფშვნება. ჩვენს გარშემო აურაცხელ წიგნებს ვხედავთ და ხშირად გვესმის, რომ დღეს ყველას შეუძლია წერა. შესაძლოა, ეს სიმართლეა კიდეც. და მაინც, ეჭვი არ გვეპარება რომ ამ უსაზღვრო მრავალსი- ტყვაობის, ენის აქტებისა და წარდგნის, ამ თავშეუკავებლობის, ყულგარულობისა და ტრივიალურობის მიღმა, უმძაფრესი გრძნობებით სავსე გული იმაღლება, რომე- ლსაც გონების შემოსატრიალებლად იღ- ლიანი შემთხვევა სტირდება და არა დასვე- ნება, რათა შეძლოს საკუთარი თავისი გამო- ვლენა იმ ფორმით, რომელიც ეპოქებს გა- უძლებს. სასიამოვნო იქნებოდა ამ ვნებათ- აღლვაზე დაკვირვება, ომის წარმართვა ჩვენი დროის იდეებსა და ხედვებს შორის, ხელის ჩავლება იმისთვის, რისი გამოყენე- ბაც შეგვიძლია და განადგურება იმისა, რაც სრულიად უსარგებლოა, და რაც მთ- ავარია, სასიამოვნო იქნებოდა გაანალი- ზება ფაქტისა, რომ სულგრძელნი უნდა ვიყოთ იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც თავიან იდეებს მათთვის შესაძლო საუ- კეთესო ფორმებში ასხამენ. არცერთი ეპო- ქა არ ყოფილა ავტორიტეტების მიმართ ისეთი დაუმორჩილებელი და დიდებულთა ბატონობისგან ისე გათავისუფლებული, როგორიც ჩვენია; არცერთი მათგანი არ ყოფილა მოწინებაში ასეთი თავნება და ექ- სპერიმენტებში ცვალებადი. ყველასთვის ნათელია, განსაკუთრებით დაკვირვებული მკითხველისთვის, რომ ჩვენი თაობის რო- მანისსტები და პოლიტიკოსები კონკრეტული მი- ზანს ან სკოლის კვალს არ მიჰყებიან. მაგ- რამ პესიმისტი უცვლელია, იგი არ შეეც- დება, დაგვარწმუნოს, რომ ლიტერატურა მკვდარია, არც ხელს შეგვიძლის, გვჯერო- დეს, რომ ახალგაზრდა მწერლებში, რომ- ლებიც ახალი ხედვებისა და ცოცხალი ენის ყველაზე მშვენიერი, უძველესი სიტყვების მოსახლეობად იკრიბებიან, ჟემბარიტი და ცოცხალი სილამაზე ფერტავს. რასაც უნდა ვსნავლობდეთ კლასკიდან, ყველა- ფერითანამედროვეთა შემოქმედების შესა- ფასებლად გაჭირდება, რადგან თუ მდე- ბე მათში სიცოცხლე იფეთქებს, ბადეებს ჩვენთვის უცნობ ყურეებში ახალ ფორმა- თა მოსახლეობლად გატყორულიან, ჩვენ კი, თუ მათ მიერ დაჭერილი იმ უცნობი სა- ჩუქრის მიღებას ვაპირებთ, რომლითაც უკან გვიპრუნდებიან, ჩვენი წარმოსახვით გაყოლა მოგვინევს.

1-25-d2022-5244m1016



ოთარ თოფურია

ମରାଜୀର ତମିଳଦେଶରେ

ეს იყო მართლაც განსაკუთრებული დღოება. გასული საუკუნის 60-იანი წლები — ამერიკულ კულტურაში ქაოსისა და ნესტრიგის ერთდროულად შემომტანი. დავითა ხსოვრეთ დასამახსოვრებელი, აღსანიშნავი და არც თუ ისე ლირსშესანიშნავი ფაქტი ები — დანებული კენედის, მალკოლმ ჯირი და ლუთერ კინგის მკვლელობით, გვივრდებული ვიეტნამის ომით, მშვიდობიანი საპროტესტო აქციებითა და არც თუ ისე მშვიდობიანი კონტრკულტურის აღზევებით, მუსიკის ღმერთების დაპადებითა და 27-იანელების დასაბამითა, ანუ დასასრულობით. დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს კი ორი რამ აოცებდათ: არმსტრონგის პატარა ნაბიჯი მათ ზემოთ და უსამართლობის განცდა მათში.

უსამართლობის განცდის მიუხედავად, იძულებული იყო, ნებისმიერი სახის პირობა აეტანა, ნებისმიერ ვითარებას შეჰვებოდა. დადგა დრო და ყველაფერმა ამოხეთქა, პანდორას ყუთი გაიხსნა და ერთ დროს უდარდელი ეპოქაც დასასრულს მიუახლოვდა. რამდენად საშიშია ადამიანი — რომელიც უსამართლობას ითეხნს და ხმას არ იღებს, ცვლილებისთვის სხვას ელოდება, მოქმედებას არ იწყებს, ამბობზე არ ფიქრობს — შეგვიძლია მივხვდეთ. მაგრამ ეს დროც დადგება, ნაცრით ამოვსებულ თვალებს ცივი წყლით ამოიბანს და ვეზუვის დაემსგავსება. შედეგები გვინახავს და გამოვიცდია, სწავლა კი გამოვრიცხეთ და ოიდიპოსის პოზა შევინარჩუნეთ.

60-იანი წლების ერთ ცტელ დღეს იგი ცერათიოგაშვერილი იდგა ავტოსტრადაზე და თავის მორიგ მგზავრობას ელოდა. შუახენის მამაკაცი 14 წლის შვილთან ერთად მოიჩქაროდა, სვლა შეანელა, მანქანა გააჩერა და მენსონი დაიმგზავრა. სახლშიც შეიპატიუეს, ვამშემითაც გაუმასპინძლდნენ და დარჩენაც შესთავაზეს. ჩარლიმ და 14 წლის გოგონამ, რომელიც თავის თავს შემდეგ *Pussycat*-ს უნდობდა, იმავე მანქანაში სექსი გააჩალეს და უკუნეთ ლამეში

გაიპარნება კიდევ ერთ კულტურულ მოძღვანელში. როგორც თავად გოგონა ამბობდა, მან იჯაახისებან ემანსისირება მოახერხა და ჩარლის „ოჯაახის“ წევრი გახდა. მამასა ამ ამბის გამო ცხოვრება დაენგრა, ცოლი დაშორდა. სასოწარევეთილმა კი ხელში სანადირო თოფი აიღო და ჩარლის მოსაძებნად გაემართა. იპოვა კიდეც, თუმცა ვერ მოკლა. ვერ მოკლა, რადგან ჩარლი თავად სიყვარული იყო, სიყვარულის მოკვლა კი შეუძლებელია. ჰარმონიული ფინალისთვის სისხლში მჟავიანობის კონცენტრაცია ამბალეს და საღამოც მშვენიერად გაატარეს. საბოლოოდ, ჩარლიმ მამა „ოჯაახის“ წევრად არ მიიღო (მის შვილთან წარსულის გამო ეუხერხულა), თუმცა „ოჯაახის“ მეგობრად კი ნამდვილად აქცია. ეს ამბავი სიმართლესთან არანაირ კავშირში არ არის. თუმცა შესაძლოა იმაზე მეტადაც იყოს, ვიდრე ჩევნგნარმოგვიდგენია. გზააძნეულ ჰიპთა განზოგადებული სახე Pussycat-შია ჩატეული. ტარანტინომ კი ამ გამონაგონით მენსონის მცირე დახასიათება შემოგვთავაზა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქუენტინ ტარანტინოც გრძნობს სურნელს, ამბის მოყვოლის არომატი მას დაგეშილ ძალად აქცევს — ცოფიან ქორადა.

ისევ და ისევ ჰიპების მეამბოხე ბუნებას
დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ ჯანყი და
ამბოხი მაშინ არის შესაძლებელი, როგორ
აც ადამიანი მარტო, ხოლო შეგუება მაში-
ნ — როცა სხვებს უსმენს და მათთან ერ-
თად მათთვის ცხოვრობს. მენსონის ოჯახ-
ში გაერთიანებული ახალგაზრდები იღუ-
ზორული ცვლილებებსა და იდეალიზმს
საფარევეშ აღმოჩნდნენ, მათი ამბოხი და
მშვიდობის მოძრაობა სიმულაციური, მათ
გონიერაში ერთი ადამიანის მიერ ჩანერგი-
ლი ძატოცა გამოდგა. სინამდვილეში კი
ჰიპები შემგუებელ, დამჯერ პატარა ცუგე-
ბად იქცნენ, რომელთაც ჩარლი სათამაშო
ბურთს უგდებდა, მათ კი კბილებით უკან
მოჰქონდათ, ხალისითა და შეფარული თა-
ვისმოტყუებით.

ამბოხებული ადამიანი წარსულში დუმდა — სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი.

ଭାବାବାର୍ତ୍ତମଣି

„ერთხელ ჰოლივუდში“ ქუენტინ ტარანტინოს ომაჟი იყო მისი ბავშვობისა და კინოს ნოსტალგიის, სიყვარულის მიმართ. თუმცა და კი გირვებული მაყურებელი ჰაერში დანაკლისის სურნელს იგრძნობდა, თოთქოს ამ ამბავს იმდენივე დააკლდა, რამდენიც ჰიპებს თავინათი აღქმების იდეალიზმამდე ასაყვანად. ამისა, რაღაც თქმა უნდა, თავად ტარანტინოც მიხვდა და 2021 წლის ზაფხულში გამოსცა პირველი რომანი „ერთხელ ჰოლივუდში“. თავად ავტორი ამ წარმოებს ნოველიზაციას უნიდებს, რაც ისევ ძველ ჰოლივუდში გვაბრუნებს, როდესაც ილებდნენ ფილმებს და შემდეგ წერდნენ რომანებს. ტექსტები მეტად ჰგავდა სცენარს, ვიდრე ლიტერატურულ წარმოებს, თუმცა ტარანტინოს შემთხვევაში განსხვავებულ მოვლენას აქვს ადგილი. რომანის სიუჟეტიც ორი პროტაგონისტის — სატელევიზიო სერიალების ვარსკვლავ რიც დალტონისა და მისი დუბლიორ კლიფ ბუთის — თავგადასავალს გვიყვება. მთხორპლეობი აწმყო დროში მოგვითხრობს მათ ამბავს, ერთი შეხედვით სცენარის ფორმით, თუმცა თანადათან რომანს რამდენიმე შრე უჩნდება და ფლეშბექების სახით პერსონაჟთა წარსულ ცხოვრებას ვეცნობით, დროდადრო კი ბათ მომავალსაც ვადევნებთ თვალს. თვალის მიღევნება ამ რომანს ზუსტად შეესატყვისება, მას გონების თვალით არ ვკითხულობთ, მას ვუყურებთ, როგორც ფილმს და ეს ფაქტი არავის აკვირვებს. შესაბამისად, თხრობა ანაქრონულია და რამდენიმე პერსონაჟის ამბავს დამოუკიდებლად, თითქოს გაზეთის სვეტიდან ამოჭრილი სტატიების პრინციპით, ვეცნობით. ქუენტინ ტარანტინო პროლეფსისის მეშვეობით რიც დალტონისა და კლიფ ბუთის ჰიპებთან სისხლიან დაპირისპირებას მოგვითხრობს, რომელიც ფილმის ფინალია, რომანში კი ამ ეპიზოდს მხოლოდ რამდენიმე აბზაცი ეთმობა. ძირითადი თხრობა ანალექსისისების მეშვეობითაა, პერსონაჟთა ნარსული ამბების გაცნობა რომანს განასხვავებს ფილმისგან და მის პერსონაჟებს მეტ ხასიათს, სიღრმესა და მხატვრულ ლოგოგას სძინს.

თუმცა, ფრანგულ კინოს კლიფისთვის უარყოფითი მხარეც ახლავს. ტრიუფოს

ଓଡାର ତନ୍ତ୍ରଜ୍ଞରୀଳ ମରାଗେର ତନ୍ତ୍ରବିଦ୍ୟାକ

პროტოტიპი 400 დარტყმაში მისთვის სუკულენია და ხელოვნური და ამპარტავნულია. 10 წლის ბავშვი, რომელსაც ბალზაკი იმდენად უყვარს, რომ მასზე ლოცულობს, მხოლოდ და მხოლოდ ტრიუფოს თავის ქებად ჩათვალა. კლიფის აღქმა და გემოვნება კი იაპონურმა კინომ შეცვალა, აკირა კუროსავასა და ტოშირო მიფუნეს დუეტმა იგი შეიძყრო. ამ უკანასკნელის სამსახიობო ექსპრესიის გამო, კლიფს სუბტიტრების კითხვაც კი ავინიდებოდა და აკირას არტისტული ოსტატობს შემზედველი, კველაფერი თავდაყირა დადგა იმ მომენტამდე, სანამ მსახიობსა და რეჟისორს შორის განხეტვილება არ მოხდა. კლიფმა ტოშიროს მხარე დაიჭირა და კუროსავას ჩამოშორდა, მას კი შემდეგი რეგალია მოარგო: 1965 წლის ფილმის — „წითელი წვერი“ — შემდეგ რეჟისორი კუროსავა გადაიქცა რუს რომანისტ კუროსავად. კლიფისთვის კი მსგავსი მეტამორფოზი მეტისმეტი აღმოჩნდა.

რომანში მეტაფიქციური ელემენტებიც გვხვდება: ერთ-ერთ თავში ბარში მყოფი მსახიობთა საზოგადოება უსმენს პიანისტთან ასეულერებულ ჰანგებს, რომელიც თავად ქუენტინის მამინაცვალია. იგი ავტოგრაფსაც წაიღინა 7 წლის კინომოვარული გერისთვის. ტრუდი ფრეიზერის (მსახიობი ბავშვის), რომელიც რიკ დალტონთან ერთად თამაშობს სცენაში) სამორავლო კარიერის განხილვისას კი აღმოჩნდება, რომ ქუენტინ ტარანტინოს 1993 წლის ფილმის თანახმად ამირი უკო ენდრუ კალმიის ნომი

A black and white photograph of Leonardo DiCaprio as Dom Cobb. He is sitting in the back seat of a classic car, looking directly at the camera with a serious expression. He has dark hair and is wearing a light-colored, button-down shirt. The interior of the car is visible, showing the headrests and part of the front seats.

და ხმაც კი არ ამოაღებინა, ტარანტიინომ
საკმაოდ უხეშად უარყო ჟურნალისტის პი-
პოთეზა, რაც ჩემთვის გასაგებია. ავტო-
რისეულ გადაწყვეტილებებში ჩარევა არც-
ერთი ავტორის სითვის არ არის სასამოვნო.
რომანში კი შერონ ტეიტი არა როგორც
უბრალო ფასადი, არამედ მეოცნებებ ახალ-
გაზრდად გვესახება, რომელსაც აქვს მი-
ზანი და ამ მიზნისთვის საბრძოლველად
ტექსასიდან მზიანი კალიფორნიისენ მიდ-
ის — ისევე როგორც მილიონობით მისი
თანატოლი. ბევრი მათგანისგან განსხვა-
ვებით შერონს ყველაფერი გამოუვიდა,
მიზანსაც მიაღწია და სამომავლო პერსპე-
ქტივაც დაისახა. უკვე ვიცით, რომ „ერთხ-
ელ ჰოლოუფუძმზ“ შერონ ტეიტი აგვისტოს
საზარელი ღამის მსხვერპლი არ ხდება. მას
ტარანტიოს გმირები გადაარჩენენ. რეა-
ლური მოვლენები ყოველთვის ხდებოდა
ხელოვანთა ინსპირაციის წყარო, ქუენტი-
ნისთვის კი მათი შეცვლა და ალტერნატიუ-
ლი ვარიანტების შემოთავაზება უფრო მი-
მზიდველია.

ფილმში ჩარლი მენსონს მხოლოდ ერთხელ გხვდებით. როდესაც იგი სიელო დრაივზე ტერა მელქერის სანახავად მიდის, სახლში კი შერონ ტეიტი და ჯეი სებრინგი დახვდებიან. ერთ დროს ჩარლიც მეოცნებებს ახალგაზრდა იყო — მართალია, აგრესიისა და დანაშაულისკენ მიდრეკილი, თუმცა მაინც მუსიკოსობის მოსურნე. მისი დასახული მიზანი ინდუსტრიაში მომუშავე ადამიანთა დამეგობრებით და მათი გზით წარმატებისკენ სვლას გულისხმობდა, რაც მისი ქარიზმიდან გამომდინარე გამოსლიოდა კიდეც. ჩარლის გადაწყვეტილება ქვეცნობიერიდან ამომდინარე ზრახვა იყო. ალბათ მენსონს, ისევე, როგორც ხალხს მის გარშემო, ნიჭის ნაკლებობა მიაჩნდა მის მთავარ პრობლემად ან კრიმინალური წარსული და მანიაკური მიდრეკილებები. ადამიანს ოცნებები დაუზგრიეს, რეალბასთან მნარედ შეაჯახს და ერთი ოცნება მეორით ჩაუნაცვლეს. ჩარლისთვის მუსიკოსობიდან მესიანობამდე მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯი აღმოჩნდა. „ოჯახის“ შექმნა და როტულურ-მოტუაციური ცერემონიები მას ბუნებრივ გზად იქცა. ჩარლიმ თავისი ნიჭიც იპოვა. მას შეეძლო, ნებისმიერი ჰიპისთვის ებრანებინა და მისი სიტყვა კანონი იყო. ახალგაზრდა გოგონები ღამით მოხუცთა სახლებში იქრებოდნენ და ვანდალურ აქტებს სჩადიოდნენ, სხვები ქუჩის კუთხიდან აკვირდებოდნენ, მოხუცები კი სიზმრისეულ რეალობაში ზაფრით იღვიძებდნენ. ასე ამზადებდა ჩარლი თავის გოგონებს „დიადი“ მიზნებისთვის. პროდიუსერის სახლი მას დამახასოვრებული ჰქონდა, გულში ჩაიდო მისი შეუსრულებელი პირობა, რამაც მოვლენები 9 აგვისტოს ღამემდე და სისხლით გაკეთებულ წარწერაზე მდგრანა.

მწერელი კავშირი გადასცვას.

მწერელი ბისტოკის შთა გორინების წყარო ხშირი იყო. მას შემთხვევაში ბერძნული მითოლოგია, ბიბლიური იგავები ან ინტერტექსტუალური გადასახილები ხდება — ჯონისის თვისი ღმის სევესის მოგზაურობა, ფრიშისის თვისი რიდიპოსის მითი, მილტონის თვისი ძველი აღთქმის ამბავი. ტარანტინოს ბიბლია კი პოპულარუა. რთულია, მის რომანს ღირებული ღიტერატურული ნაწარმოები დაარეკვა, თუმცა ღირებული მაკულატურა კი თამამად შეგვიძლია, ვუწოდოთ. ამ ავტორთან სიტყვა მაკულატურა სულაც არ აღიქმება როგორც მდარე ხარისხის მნიშვნელობის მქონე ტარანტინოს ღიტერატურული დებიუტი აზარტული საკითხავია გაჯერებული ავტორის სეული ირონითა და იუმორით — რომელიც არასდროს ერიდება თანამედროვეობაში გაპატონებული პოლიტკორექტულობის დარღვევას და, ვინ იცის, იქნებ მეათე ფილმის გადაღების შემდეგ მართლაც გადადოს (ცელულოიდი გვერდზე). მე კი მიმართია, რომ სამყარო დიდ რეჟისორს დაემშვიდობება, თუმცა გაიცნობს საინტერესო მწერალს, რომელსაც მომავალში მრავალი ღიტერატურული რომანის შექმნა მეუძღია. მის ფანტაზიასა და გონიერებას, როგორც ჩანს, მარჯვე კათარის არა მარტივი ხასიათი.



ଲୋକିରାତିକ୍ଷମନୀ ପ୍ରକଟିକ

საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მთავრობა

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ქურნალისტი თამარ ჟურული

მობ.ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

